

ISBN: 978-9941-13-076-2

A4, 842 გვერდი

ფასი: 25 ლარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზიის“ მეორე გამოცემა დასტამბა. წიგნი მოიცავს დიდი მეცნიერის ხანგრძლივი და ფუნდამენტური მოღვაწეობის შედეგად შეგროვებულ მასალას, რომელიც არა მხოლოდ ზეპირ წყაროებს ეფუძნება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან და პერიოდიკიდანაა ამოკრეფილი. ტექსუალურ ნაწილს ახლავს ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კვლევაც, რაც ნაშრომს უდიდეს სამეცნიერო მნიშვნელობას ანიჭებს.

წიგნში თავმოყრილი მასალა სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: საგმირო, სატრფიალო და სხვადასხვა ჟანრის პოეტური ქმნილებანი. მას თან ერთვის შენიშვნები, ვარიანტები და კომენტარები. აქ შეხვდებით მთის პოეზიის უნიკალურ ნიმუშებს, როგორც პოეტური, ისე ინფორმაციული თვალსაზრისით.

წიგნის რედაქტორები არიან: მზექალა შანიძე და ავთანდილ არაბული, რეცენზენტი – თედო უთურგაიძე.

„ხევსურული პოეზიის“ წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე აღნიშნავს:

„განვიზრახე, რომ თავი მომეყარა პირველად მთელი მასალისათვის, რომელიც საქართველოს ერთ კუთხეს შეეხება, მთას, შემევსო ძველი ფონდი ჩემ და სხვათა მიერ ახალ-ჩანაწერი ნიმუშებით, დამერთო სათანადო ახსნა-განმარტებანი და ლექსიკონი და ამგვარად შემოწმებულ-გაცხრილული, გამართული და დალაგებული მიმეწოდებინა მკითხველისთვის, როგორც სანდო მასალა და ამით საფუძველი დამედო ხალხური პოეზიის მეცნიერული გამოცემისათვის და გზა გამეკაფა ფართო და სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა-ძიებისათვის ჩვენში.“

მკითხველს, რომელიც ჯერ არ იცნობს ამ წიგნს, ვარწმუნებთ, რომ აკაკი შანიძემ ეს განზრახვა საუკეთესოდ განახორციელა.